ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2645049

ნომერი: AR1408292

თარიღი : 27.05.2016

გაცემის თარიღი : 13.06.2016

გაცნობის თარიღი : 13.06.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- აკაკი გრძელიშვილი პ/ნ 01008025909
- თბილისი ნ.ყიფშიძის ქ. N 8 ბ. 39

ორგანიზაცია:

- ჭავჭავაძის 33 კოდი: 406088807

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 27/05/2016 წლის №AR1408292 განაცხადით მომართა აკაკი გრძელიშვილმა და ამავე სამსახურის 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება მოითხოვა.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, სამსახურის 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანებით ქ. თბილისში, მე-9 საავადმყოფოს ჩრდილოეთით, შპს „ჭავჭავაძის 33-ის" კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი: №01.14.14.005.116) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 18 მაისიდან 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში საცხოვრებელი, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოსა და საერთო ფართობები არასწორადაა დაფიქსირებული. წარმოდგენილი განაცხადით მოთხოვნილია გასწორდეს აღნიშნული ტექნიკური შეცდომა და №2599997 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 42642,9; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 21504,1; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 6717,3; კიბის უჯრედისა დ სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 4323.2;

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საერთო ფართობი (კვ.მ).: 42642,9; საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 21504,1; საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 6717,3; კიბის უჯრედისა დ სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 4323.2; სამსახურის 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 18/05/2016 წლის №2599997 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.